

რისკების ანალიზი კორპორატიულ სექტორში

სტუდენტები: ელენე პირტახია

მარიამ თათელაძე

სოფიო ზერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის
მენეჯმენტი): საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე პირტახია

მარიამ თათელაძე

სოფიო ბერიძე

27.06.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია ის ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც მოქმედებს საქართველოს სხვადასხვა სექტორში არსებულ კომპანიებზე. სექტორების ჭრილში კომპანიათა რისკების შეფასება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ცალკეული სექტორის სენსიტიურობა ისეთი რისკების მიმართ, როგორიცაა: სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, გადახდისუნარიობის რისკი და ა.შ. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური სექტორი რისკიანობის კუთხით უკვე საკმაოდ გამოკვლეულია, აღნიშნულ კვლევაში მხოლოდ იმ სექტორებზეა ყურადღება გამახვილებული, რომელთა შესწავლა და ანალიზი ჯერ არ მომხდარა.

ნაშრომში რისკების შეფასება ხდება სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, რომელთა მედიანური მაჩვენებლებით შეგვიძლია დავახასიათოთ თითოეული სექტორის ლიკვიდურობა, სასესხო ვალდებულებების მოცულობა, კაპიტალის სტრუქტურა, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები და ა.შ. კვლევაში, ასევე, სექტორების მიხედვით გამოთვლილია სარეთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საკრედიტო რეიტინგის შეფასებისას გამოყენებული ორი მთავარი კოეფიციენტი : პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) და მთლიანი ვალის EBITDA-სთან შეფარდების კოეფიციენტი. მიღებული კოეფიციენტები შედარებულია ერთ-ერთი უდიდესი სარეთაშორისო სარეიტინგო კომპანიის, Moody's-ის, მაჩვენებლებს, რაც საშუალებას გვაძლევს მეტნაკლებად განვსაზღვროთ სექტორთა მდგომარეობა.

გარდა რისკებისა, კვლევაში გაანალიზებულია ცალკეული სექტორის მომგებიანობა: ROA, ROE და EBITDA მარჟის საშუალებით. ამ კოეფიციენტებით საშუალება გვაქვს შევაფასოთ, რამდენად შეუძლია კომპანიას გაუმკლავდეს არსებულ ფინანსურ გამოწვევებს.

წინამდებარე კვლევა საინტერესოა ნებისმიერი მხარისათვის, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს სხვადასხვა სექტორში ბიზნეს საქმიანობით, ესენი

შეიძლება იყვნენ როგორც თავად აღნიშნულ სექტორებში მოღვაწე კომპანიების მენეჯერები, ასევე ინვესტორები, აქციონერები, კომერციული ბანკები, საზოგადოება და ა.შ.

დღევანდელ გლობალურ გარემოში, როდესაც სხვადასხვა სექტორები და კომპანიები თავიანთი საქმიანობით ურთიერთდამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ რისკების განსაზღვრა, გამოვლენა და მართვა, რომელთა წინაშეც თავად ეს კომპანიები დგანან, არამედ იმ რისკების ანალიზიც, რომელთა გამკლავებაც უწევთ მათთან პირდაპირ, თუ ირიბად დაკავშირებულ მხარეებს: სავაჭრო კრედიტორები, დებიტორები, ინვესტორები, აქციონერები, პარტნიორი კომპანიები, მიმწოდებლები და ა.შ.

ABSTRACT

The study of the Master's thesis is the financial risks that affect on the operations of the companies in different economic sectors of Georgia. Evaluating risks in different economic sectors gives an opportunity to define the sensitivity of these sectors toward risks such as: foreign exchange risk, interest rate risk, liquidity risk, insolvency risk etc. Since the risks in the financial sector of Georgia has already been studied, in this research it has been analyzed the sectors that have never been studied yet.

In the research risks are evaluated with different financial ratios and with their median value each sectors are characterized with liquidity, amount of debt, capital structure, debts in foreign currencies, etc. Besides in this study there are calculated two main ratios used by international credit agencies: Interest Coverage Ratio and Debt/EBITDA Ratio. These ratios in each economic sectors are compared with Moody's' that gives the approximate view of each sector's position.

Besides the risks in this study each economic sectors are analyzed with profitability ratios like ROA, ROE and EBITDA margin that show how companies can handle to these risks and challenges.

The research is interesting to any part that could be involved or interested in any business field in different economic sectors of Georgia, these could be as managers of the companies as investors, shareholders, commercial banks, society etc.

In today's global environment, when sectors and companies are interdependent to each other, it is essential to define, evaluate and manage not only the risks that are familiar to these companies but also the risks that affect on their trade creditors, debtors, investors, shareholders, business partners, suppliers etc.